IBSU

სამაგისტრო პროგრამების კატალოგი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

(ინგლისურენოვანი)

2022 წ

შინაარსი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ 3
მარკეტინგი 4
მენეჯმენტი 11
ფინანსები 16
საერთაშორისო ურთიერთობები.....22
ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები 27
კომპიუტერული მეცნიერება 31
განათლების ადმინისტრირება..... 36

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2

საფოსტო ინდექსი: 0131

+995 32 2595006
contact@ibsu.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე შესაბამისი პროგრამის განყოფილებაში
https://ibsu.edu.ge/ge/masters/

მარკეტინგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მარკეტინგი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 122 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე „პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე“ – https://iro.ibsu.edu.ge/en/home).
გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).
უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი, თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან წარმოადგენს შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დონის (B2) დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში ან/და დანართი1.1-ში
გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 60 - სპეციალობა / 40 ინგლისური.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

1. კურსდამთავრებულს აქვს საშუალება მიღებული ცოდნის საფუძველზე აღმოაჩინოს კომპანიის პრობლემები, დაადგინოს ორგანიზაციის საბაზრო წილი, მისი პროდუქტებისა და სერვისების მარკეტინგული მნიშვნელობა და მოახდინოს ბიზნესის მთლიანი დარგის და ბაზრის ანალიზი.
2. სამომხმარებლო სეგმენტებად, კატეგორიებად, კლასტერებად დაჰყოს და შეადაროს ერთმანეთს სამომხმარებლო ბაზრების რაოდენობრივი მახასიათებლები, მოახდინოს

მომხმარებელთა მოტივაციის დადგენა, რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის ჩატარება და სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებით ორგანიზაციის მდგრადობის გაზრდა.

3. კურსდამთავრებულმა, იცის, მიღებული ცოდნის გამოყენებით ბიზნეს ადმინისტრირებისა და მარკეტინგის უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრებით და სწორი შემოქმედებითი აზროვნებით, როგორ და რა ფორმით მოახდინოს ინოვაციების იმპლემენტირება.

უნარი:

4. ბაზრის უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში ბაზრისა და ბიზნესის კვლევის ორგანიზება და ამის საფუძველზე სტრატეგიული მარკეტინგული დაგეგმვის, ბრენდინგის/ რებრენდინგის და სამომხმარებლო პოზიციონირების განხორციელების ახალი, ორიგინალური გზების მოძიება.
5. ბიზნესის შესახებ რთული ან არასრული ინფორმაციის, მათ შორის, მომხმარებლის ქვეცნობიერი მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი, დროის თანამედროვე, კვლევების და დაკვირვების საფუძველზე.
6. ჩასატარებელი და ჩატარებული მარკეტინგულის საქმიანობის შესახებ, კომპანიის მენეჯმენტის სწორი და დროული საინფორმაციო უზრუნველყოფა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. პროფესიული პასუხისმგებლობა მომხმარებლის, კომპანიის, განხორციელებული პროექტების, იმპლემენტირებული პროდუქტებისა და სერვისების მიმართ.
8. პროფესიული პასუხისმგებლობა საკუთარი მარკეტინგული ცოდნის სიცოცხლის მანძილზე განახლებისა და აქტუალობის შენარჩუნების მიმართ.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების

კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

- **პრეზენტაცია (ლექტორის მიერ)** – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.
- **დემონსტრირება** – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ინდუქცია** - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილშიც შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან

განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

- **დედუქცია** - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.
- **ანალიზი** - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზი** - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- **შემთხვევების შესწავლა (case study)** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. ,,შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.
- **გონებრივი იერიში (brain storming)** - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.
- **დისკუსია / დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

- **სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები** - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- **პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)** - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.
- **ელექტრონული საშუალებებით სწავლა/სწავლება** - გულისხმობს სწავლებას და სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.
- **ამოცანების ამოხსნა** - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.
- **პრობლემების გადაჭრა** - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.
- **ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს

და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **ინდივიდუალური მუშაობა** - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პრცესში მიღბულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.
- **წიგნზე მუშაობა** - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყნებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ბიზნეს სტრუქტურებში, კომპანიებსა და კორპორაციებში, განსაკუთრებით ამ ორგანიზაციების მარკეტინგის დეპარტამენტებში და გაყიდვების სამსახურებში, ასევე კვლევისა და განვითარების სამსახურებში (Research & Development), ბიზნესის ფრონტ და ბექ ოფისებში. ასევე კურსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და სახელმწიფო ორგანიზაციების იმ ორგანიზაციებში, სადაც ხდება ბიზნესთან ურთიერთობა კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობისა და ფუნქციონირების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის / ოპერირების საკითხები, ასევე ორგანიზაციებს ან/და ინდივიდებს შორის პროდუქციისა და მომსახურების გაცვლის პროცესების ხელშეწყობა, ასევე შეისწავლოს იმგვარი საკითხები როგორიცაა მომხმარებლის ქცევა და მოთხოვნილებები, ბიზნესის განვითარების საკითხების დაგეგმვა და განვითარება, ბიზნესის ურთიერთობების გამარტივება და განვითარება.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგულ დეპარტამენტებში და იმუშაოვოს ამ ორგანიზაციების მარკეტინგული მიმართულებით განვითარებისათვის. შესაბამისად კურსდამთავრებულს ეცოდინება ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობისა და ფუნქციონირების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის/ოპერირების საკითხები და ის მოახდენს ორგანიზაციებს ან/და ინდივიდებს შორის პროდუქციისა და მომსახურების გაცვლის პროცესების ხელშეწყობას, ასევე მომხმარებლის ქცევისა და მოთხოვნილებების ღრმად შესწავლასა და საქმიანობაში გამოყენებას.

მენეჯმენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home.
გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).
უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი, თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან წარმოადგენს შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დონის (B2) დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში ან/და დანართი1.1-ში
გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით:
60 - სპეციალობა / 40 ინგლისური.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. სიღრმისეულად ხსნის განუსაზღვრელ ბიზნესის გარემოში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისა და ბიზნეს შესაძლებლობების შესაფასებლად კომპანიის სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის მექანიზმის, ადამიანური რესურსების, წარმოების პროცესის მართვის, სტრატეგიული მარკეტინგის, ფინანსების თეორიებს, მოდელებს და ინსტრუმენტებს;
2. ახდენს ბიზნესის ყველა ფუნქციონალურ სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას და პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისათვის სიღრმისეულად აღწერს კვლევის მეთოდებსა და მონაცემთა დამუშავების სტატისტიკურ მოდელებს.

უნარები

3. კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვის ცალკეული რგოლის სტრატეგიული ანალიზის საფუძველზე ახდენს კომპანიის ფუნქციონალური სფეროების და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების იდენტიფიცირებას (შესყიდვები, წარმოება,

ლოგისტიკა, მარკეტინგი, ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა); ბაზარზე სტრატეგიული ბიზნეს ერთეულების პოზიციის შეფასებას და მათი განვითარების მიზნით ამზადებს სტრატეგიულ გეგმას.

4. ბაზარზე არსებული მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე, ამზადებს წინადადებებს კომპანიის ოპერაციათა მართვისა და საწარმო სიმძლავრეთა სტრატეგიული განვითარების მიზნით, საწარმო სიმძლავრეების გაზომვის საფუძველზე შეიმუშავებს ალტერნატიულ ვარიანტებს, ახდენს ბიზნეს პროცესების ინტეგრირებას და კოორდინაციას, ამზადებს პროექტებს, აფასებს ცალკეული პროექტისათვის რისკებს, გეგმავს ბიუჯეტს, შეიმუშავებს პროდუქციის და მომსახურების ხარისხის და პერსონალის მწარმოებლურობის კონტროლის მექანიზმს;
5. აყალიბებს ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარების ხედვას და კომპანიის დასახული მიზნების მისაღწევად გეგმავს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიას, აფასებს სამუშაო ძალის მწარმოებლურობას, ამზადებს შრომის ანაზღაურებისა და კომპენსაციის გეგმას, ნერგავს გუნდური მუშაობის პრინციპების, დასაქმებულთა მოტივაციისა და ორგანიზაციის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის კონფლიქტური სიტუაციების მართვის ეფექტიან მექანიზმს და ასაბუთებს პროფესიული სტანდარტების მნიშვნელობას ორგანიზაციაში დაინტერესებული მხარეების გრძელვადიანი ღირებულების გაზრდის მიზნით.
6. ეფექტიანი აღრიცხვისა და ბიუჯეტირების სისტემის შემუშავებით ქმნის ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების და ინტერესთა კონფლიქტის კონტროლის მოქნილ მექანიზმს.
7. მარკეტინგული აუდიტის განხორციელებით და სტრატეგიული ანალიზის ძირითადი ასპექტების საშუალებით გეგმავს ფასეულობათა შექმნის პროცესს. აანალიზებს მომხმარებელზე მოქმედ ფაქტორებს და კონკურენტების ქმედებებს; სეგმენტების მიმზიდველობის შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ახდენს მიზნობრივი სეგმენტის იდენტიფიცირებას და ამზადებს პოზიციონირების სტრატეგიას და გეგმავს მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს.
8. ახდენს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის პროცესებისა და მეთოდების ინტეგრირებას მენეჯმენეტის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზის, რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და კომპლექსური მენეჯერული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით; ახდენს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის დემონსტრირებას ბიზნესის ყველა ფუნქციონალურ სფეროში, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ კონტექსტში ინფორმაციის დამუშავების და ინოვაციური სინთეზის, პროექტების და კონკრეტული შემთხვევების შესწავლის გზით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. ახდენს კომპლექსურ და მულტიდისციპლინარულ სასწავლო გარემოში მენეჯმენტის თანამედროვე ასპექტების მოდიფიცირებას და წინადადებების მომზადებას, იღებს პროფესიული ცოდნის მართვაზე პასუხიმგებლობას, ახდენს საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის ორგანიზებას.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო

კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო ფირმებში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში,

ფონდებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ბიზნესის მართვის ყველა რგოლში და დაიკავოს მაღალი დონის მენეჯერული პოზიციები.
მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ მენეჯმენტის, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

ფინანსები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფინანსები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში ან/და დანართი1.1-ში

გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად. სპეციალობაში გამოცდა ჩატარდება წერილობით.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს:

კურსდამთავრებულმა იცის:

- ბიზნესის და ეკონომიკის მართვის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები;
- რაოდენობრივი ანალიზის და შეფასების, გადაწყვეტილების მიღების პრინციპები და მეთოდები.
- პროფესიული წერის თანამედროვე მეთოდები;
- ბიზნესის კვლევის თანამედროვე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები;
- ფინანსური რესურსების მართვის სისტემა; ფინანსური სისტემის თავისებურებები და ფინანსური ბაზრების თეორია; რისკების მართვა; ფინანსური შუამავლები, როგორც

ფინანსური სისტემის რგოლი; კაპიტალის ფასი და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსები, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილი და მისი მართვა.

- სავალუტო ბაზრის მუშაობის პრინციპები და რისკების მართვა; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობა; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის მეთოდები; მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციები.
- ინვესტიციების კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა; საინვესტიციო პროექტის არსი და მისი ანალიზი; საინვესტიციო პროექტების ფულადი ნაკადების ანალიზი და შეფასება.
- კორპორაციული მართვის პრინციპები საფინანსო დაწესებულებებში; შიდა კორპორაციული დოკუმენტები; სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა და ფუნქციების გამიჯვნა; დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი; აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები.
- თანამედროვე საფინანსო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენის, ანალიზისა და შეფასების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგია; ფინანსური ინსტიტუტების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმი.

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- ბიზნესის ადმინისტრირების როლს ბიზნესის მართვაში; ანალიზის და მენეჯმენტის როლს ბიზნესის განვითარებაში;
- ფინანსური მენეჯმენტის როლს ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ინფრასტრუქტურის და ფინანსური სისტემის რეგულირების მნიშვნელობას და მეთოდებს; ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების როლს; ფინანსების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში.
- საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მართვის როლს; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობის და ანგარისშწორების მეთოდებს; მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ბაზრების მუშაობის თავისებურებებს საქართველოს ამ სისტემაში ინტეგრირების მნიშვნელობას.
- საინვესტიციო პროექტის შეფასების და ანალიზის მნიშვნელობას; ბიზნეს–გეგმის შედგენის მიზნებს და მეთოდიკას; ბიზნეს–გეგმის როლს ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის მემეჯმენტის, ბიზნესის შეფასების და ანალიზის მეთოდების გამოყენება პრაქტიკული ბიზნესის განვითარების შეფასებაში და დაგეგმვაში;
- ფინანსური სისტემის თავისებურებების გამოვლენა და დახასიათება; ფულადი საშუალებების განაწილება და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს რისკების გამოვლენა და შეფასება; კაპიტალის ფასის განსაზღვრა და კაპიტალის სტრუქტურის მართვა;

სახელმწიფო ფინანსების, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის დახასიათება და მისი მართვა; ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფინანსური მექანიზმების გამოყენება; ფინანსური ინფრასტრუქტურის დახასიათება და ფინანსური სისტემის რეგულირებაში მონაწილეობა.

- სავალუტო ოპერაციების თამაშის წესების და ვაჭრობის ტექნოლოგიების გამოყენება; სავალუტო ბაზარზე მუშაობა; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის მოდელის დახასიათება.
- ბიზნეს–გეგმის როლის აღწერა ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საფინანსოსაქმიანობაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება;
- ფინანსური რისკების გონივრული მართვა; თეორიული კონცეფციების პროფესიულ საქმიანობაში გადატანა; საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა და მათ ფორმირებაში გადასახადების როლის შეფასება; საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და მისი ოპტიმიზაცია.
- პროფესიული ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, პროფესიული ნაშრომის მომზადება.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- ბიზნესის მართვის სფეროში საკვანძო პრობლემების გამოყოფის და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების უნარი;
- ფინანსების სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავების უნარი;
- საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნების, ნორმატივების, ლიმიტებისა ანალიზის საფუძველზესაფინანსო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა კვლევისა და შედეგთა განზოგადების უნარი;
- ინვესტიციური პროექტების შედგენისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ფინანსების სფეროში არსებული პრობლემატიკისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- საკვალიფიკაციო ნაშრომის პრეზენტაციის უნარი;
- ფინასების სფეროში საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბების, პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან მათი წარდგენის უნარი წერილობით და ზეპირად;
- დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენის უნარი;
- იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, პროფესიული და აკადემიური

საზოგადოებისათვის უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

- ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების მოძიების, გაგებისა და გადმოცემის უნარი

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის და წარმართვის უნარი;
- სწავლის პროცესის სპეციფიკის გააზრების და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;
- სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი და ცოდნის რეგულარულად განახლების უნარი დარგობრივი ლიტერატურის კითხვით;
- სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარი.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს აქვს:

- ზოგადად ბიზნესის და უშუალოდ ფინანსების სფეროში არსებული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;
- ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;
- პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვი უნარი.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციაში და ა.შ.

ფინანსების მაგისტრს შეუძლია იმუშაოს საფინანსო სისტემის ყველა რგოლში ზოგადად, და ფინანსური მართვის სფეროში კერძოდ. კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მაღალი დონის სამენეჯერო პოზიციები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, საკონსულტაციო ფირმებში, ერთობლივ საწარმოებში და ა.შ.

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსებში) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ფინანსების, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

საერთაშორისო ურთიერთობები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე https://iro.ibsu.edu.ge/en/home

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, კერძოდ CEFR, TOEFL iBT, IELTS, YDS, Cambridge. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში.

გამოცდები ინგლისურ ენასა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და გაცნობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

1. განიხილავს თანამედროვე სამეცნიერო დისკურსს დარგის ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით; შეუძლია ფილოსოფიური პარადიგმებისა და კონცეპტების საკუთარ კვლევით პროექტში გამოყენება;
2. კრიტიკულად იაზრებს, განმარტავს და განასხვავებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის როგორც კლასიკურ სკოლებს, ასევე თანამედროვე ტენდენციებსა და პარადიგმებს; ახდენს თეორიული სკოლების კლასიფიცირებას და შეფასებას როგორც სამეცნიერო დისკურსში პოზიციონირების (ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და

მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით გამოკვეთილი პოზიციების თვალსაზრისით), ასევე, თეორიების მიერ არგუმენტირებული აქტორების ქცევის დეტერმინანტების თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობებში; შეუძლია შექმნას თეორიული ჩარჩო საკუთარი კვლევითი პროექტისთვის და მოახდინოს ემპირიული მონაცემების ინტერპრეტირება შესამაბისი თეორიული არგუმენტების საშუალებით;

3. კრიტიკულად იაზრებს საკვანძო მოვლენებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და ახდენს მათ კონტექსტუალიზაციას; განსაზღვრავს და განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს;
4. განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს; ავლენს დარგის ამომწურავ, არსებით და პრაქტიკულ ცოდნას (comprehensive, substantive and practical knowledge) საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების, თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების შეფასებისას;
5. სხნის ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, აანალიზებს სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს; განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს; თეორიულ და პრაქტიკულ (შემთხვევის ანალიზის) დონეზე განასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს; იკვლევს ომთან დაკავშირებული საკითხების ნორმატიულ წინააღმდეგობებს;
6. განსაზღვრავს და კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში დაწინაურებულ უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს, შეუძლია აკადემიური და ეთიკის სტანდარტების დაცვით, დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა აღნიშნული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; განსაზღვრავს საკუთარი კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოსა და მეთოდოლოგიას; თავისუფლად იყენებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, ფლობს რა მათი შერჩევის სტრატეგიებსა და მონაცემთა ანალიზის ტექნიკებს; შეუძლია სათანადო თეორიული პერსპექტივიდან, კრიტიკულად გაანალიზოს თეორიული და ემპირიული მონაცემები, მოახდინოს მათი ინოვაციური სინთეზი და შეფასება და ჩამოაყალიბოს დასკვნები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით; შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს კვლევითი ნაშრომის ხარისხი ავტორის ფილოსოფიური პოზიციისა და ნაშრომში გამოყენებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით;
7. შეუძლია აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, იქონიოს პროფესიული კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებთან და პრაქტიკოსებთან, წარმოადგინოს კომპლექსური ინფორმაციის ორიგინალურ ანალიზს დაფუძნებული დასკვნები და მოსაზრებები დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების დროს; მოამზადოს და წარადგინოს კვლევითი პროექტი;
8. აანალიზებს მორალურ დილემებს, რომელსაც სოციალური მეცნიერებების მკვლევარი აწყდება საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს, ასევე, ეთიკური საკითხებისა და ზოგადად, ეთიკური კვლევების მნიშვნელობას და აყალიბებს საკუთარ ფასეულობებს დარგის თანამედროვე ნორმებისა და სტანდარტების ცოდნის საფუძველზე;
9. შეუძლია დაგეგმოს და დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა; მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არასაკმარისად შესწავლილი

საკითხების იდენტიფიცირება და განსაზღვროს შემდგომი კვლევის საჭიროება; დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი კვლევითი ინტერესები.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინირებას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა ზემოთ მოცემულის ანალოგიურია, გარდა შემდეგი შემთხვევისა: სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, მას უფლება ეძლევა

გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.
კვლევითი კომპონენტის შეფასების ასევე, კონკრეტული კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშავონ საგარეო საქმეთა სამინისტროში; იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კერძოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, თავდაცვის სამინისტრო, სხვადასხვა სამინისტროების საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტები; არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კვლევით ცენტრებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.
ამასთან, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ, განაგრძონ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე საკუთარი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა წარმატებით ჩააბარონ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდა, ხოლო უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები (გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში). გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 60 - სპეციალობა / 40 ინგლისური
დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში ან/და დანართი 1.1-ში
პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე https://iro.ibsu.edu.ge/en/home.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:
პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და განობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

1. კურსდამთავრებული იღებს ღრმა, სისტემურ ცოდნას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის როლზე ინსტიტუციების და საზოგადოებრივი გავლენების ფორმირების პროცესში;
2. მიმოიხილავს და კრიტიკულად აღწერს ამერიკის დემოკრატიის ძირითად პრინციპებს; აანალიზებს საქართველოს ნატოს წამყვან წევრებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საჭიროებას ალიანსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად;
3. შეისწავლის და კრიტიკულად აღწერს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით თანასწორობასა და თავისუფლებას შორის დაპირისპირების პროცესებს; აშშ-ს

ცალკეული რეგიონების განვითარების თავისებურებების გავლენას ამერიკის მრავალფეროვან კულტურაზე;

4. კომპლექსურად შეისწავლის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დინამიკას; პრეზიდენტობის ინსტიტუტის ისტორიის თავისებურებების გავლენას აშშ-ს საგარეო ურთიერთობებზე; დეტალურად ხსნის ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან (EAPC) რეგიონალურ საკითხებზე თანამშრომლობის აუცილებლობას;
5. ახდენს საგარეო ურთიერთობების, აშშ-ს ისტორიის, დემოკრატიის პრინციპების, კულტურის, მრავალფეროვანი რეგიონალური თავისებურებების შეჯერებას ინტერდისციპლინარულ რაკურსში და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციას და დასკვნების ჩამოყალიბებას;
6. ახდენს საკუთარი აზრის არგუმენტირებას, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირებას;
7. შეუძლია მოუსმინოს ამერიკელის საუბარს და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპისა, ინტონაციისა თუ თემატიკის; სწორად მოახდინოს რეაგირება გაგონილ იმპულსზე და შეასრულოს რთული დავალებები; მოისმინოს აუდიო მასალა, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ საკითხებზე, რაც მიეხმარება უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებაში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
8. შეუძლია ორთოგრაფიულად და აზრობრივად სწორად დაწეროს თხზულება, ესსე; შეუძლია საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ გამოხატვა, კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნის ჩამოყალიბება; დარგობრივი და მაღალი ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები) აღჭურვილი თხზულების/ესსეს შედგენა;
9. ამზადებს ანალიტიკურ მოხსენებებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში;
10. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, კერძოდ, გააზრებული აქვს სწავლისა და განვითარების მიმართულებით მუდმივად გაღრმავების აუცილებლობა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები):

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ახალი თეორიული მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა მეთოდების ინტეგრირება თემატიკიდან გამომდინარე;
- **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ

სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგისტრანტებისთვის.
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების <u>ინდუქციური მეთოდი</u> განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისკენ, კონკრეტულიდან ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების <u>დედუქციური მეთოდი</u> განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში <u>ანალიზის მეთოდი</u> გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

<u>სინთეზის</u> მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

- **შემთხვევების შესწავლა** (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების- სიტუაციების გადაჭრის გზით. ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების განხილვაზე და ანალიზზე. 'ქეისი' არის ინსტრუმენტი, რომელის საშუალებითაც ხდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უნვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით

განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედების დაგეგმივასა და მათი შედეგების პროგნოზირების უანრი;

- **წერითი მუშაობის მეთოდი** - გულისხმობს თეზისების შედგენას, ინდივიდუალური ანგარიშის, ესეს ან ნებისმიერი წერითი დავალების შესრულებას;
- **პრაქტიკული მეთოდი**- გულისხმობს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას მიღებული თეორიული მასალის საფუძველზე (მინი გაკვეთილების ჩატარება/პროექტების მომზადება). პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას, სადაც ამ მეთოდის გამოყენება ნათლად არის ასახული;

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 60 ქულით და დასკვნითი შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნითი შეფასების მისაღებად სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 25 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ მოაგროვა მინიმუმ 15 ქულა დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია:

ა) დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 15 ქულის მოგროვების შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ამას გარდა მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ ამერიკულ ორგანიზაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში, საგარეო

საქმეთა სამინისტროში, კულტურის დეპარტამენტებში, საზოგადოებრივი მართვის დეპარტამენტებსა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში.

კომპიუტერული მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კომპიუტერული მეცნიერება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა სპეციალობაში და წერილობითი გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე). მისაღები გამოცდების საკითხები და შეფასების სისტემა წინასწარ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში. გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად.
უცხო ქვეყნის მოქალაქეები პროგრამაზე ირიცხებიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია ვებ გვერდზე: https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი შემდეგი კომპეტენციები.

ცოდნა და გაცნობიერება	1. კურსდამთავრებულს სიღრმისეულად გაცნობიერებული აქვს ალგორითმების და მოდელირების თეორია, პროგრამული ენებისა და სისტემების იმპლემენტაცია, მონაცემების მოპოვება, დაცვა და დამუშავება. შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება.

	2. კურსდამთავრებულმა იცის კომპიუტერული მეცნიერების გამოყენება პრაქტიკული და თეორიული ამოცანების გადასაწყვეტად. სიღრმისეულად იცნობს ინდუსტრიისთვის საჭირო კომპიუტერულ სისტემებს. აქვს პრობლემების მოდელირებისა და რეალიზაციის საფუძვლიანი ცოდნა. 3. კურსდამთავრებული იცნობს კვლევის მეთოდებს და ტექნიკურ ლიტერატურას, იცის ტექნიკური ინფორმაციის მოძიება, რეპორტის მომზადება, თეზისის წერა და მოხსენების გაკეთება.
უნარი	4. კურსდამთავრებულს კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით შეუძლია კოლაბორაციული კვლევა, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და გამოყენება დასმული ამოცანის გადასაჭრელად. აქვს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის, აკადემიური პატიოსნების და სტანდარტების დაცვის უნარი. 5. კურსდამთავრებულს ტექნიკური ცოდნის და უნარების გამოყენებით შეუძლია სხვადასხვა დარგში უსაფრთხო კომპიუტერული სისტემებისა და ქსელზე დაფუძნებული ტექნოლოგიების შემუშავება, ინფორმაციული ტექნოლოგიების კვლევის და დაპროექტების მეთოდების გამოყენებით. 6. კურსდამთავრებულს შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის ახალი მიდგომის შემუშავება, მათემატიკური მოდელების შექმნა, ალგორითმული წარმოდგენა, ანალიზი და იმპლემენტაცია. 7. კურსდამთავრებულს შეუძლია კომპლექსური პრობლემის დაყოფა ქვეპრობლემებად და თითოეული ქვეპრობლემისთვის შესაფერისი პროგრამირების პარადიგმის მოძებნა და რეალიზაცია. 8. კურსდამთავრებულს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეუძლია მოიძიოს კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია და მოამზადოს რეპორტი/სტატია/ნაშრომი, მცირე ზომის საპროექტო წინადადება. მას აქვს უნარი წარუდგინოს მიღებული კვლევის შედეგები, როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	9. კურსდამთავრებული მულტიდისციპლინარულ გარემოში წყვეტს კომპიუტერულ მეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებებზე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება

საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

შეფასების საშუალებები შემდეგია:

- ✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;
- ✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;
- ✓ საშინაო დავალება;
- ✓ დისკუსია;
- ✓ ზეპირი გამოკითხვა;
- ✓ წერითი გამოკითხა;
- ✓ ესე;
- ✓ სემინარი;
- ✓ პრეზენტაცია;
- ✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- ✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა.

დასაქმების სფერო

კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს საერთაშორისო დონის შესაბამის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც პრაქტიკულად შეასრულებს ძირითად ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კერძოდ, შეძლებს იმუშაოს პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელად, მონაცემთა ანალიტიკოსად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტად, ქსელების ადმინისტრატორად და ა.შ. კურსდამთავრებულს აგრეთვე შეუძლია სწავლა გააგრძელოს აკადემიური განათლების მომდევნო საფეხურზე კომპიუტერული მეცნიერებების, კომპიუტერული ინჟინერიის, საინფორმაციო მეცნიერებების, ხელოვნური ინტელექტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობებით.

განათლების ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: განათლების ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, „პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე" – https://iro.ibsu.edu.ge/en/home).
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).
ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS, FCE და CAE). აგრეთვე, ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან). დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში.
გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით:
60 - სპეციალობა / 40 ინგლისური

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:
პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება დარგობრივი თეორიების, პრინციპების, პრაქტიკის, მიმდინარე ცვლილებებისა და სირთულეების ღრმა ცოდნა:

ა) განათლებასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების, დარგის ისტორიის, სისტემისა და რეფორმების ღრმა ცოდნა, საზოგადოებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის, პასუხისმგებლობისა და წვლილის გათვითცნობიერება;
ბ) განათლების ადმინისტრირების მიღებული პრინციპებისა და წარმატებული პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განაპირობებს საერთაშორისო სტანდარტების დაწესებას განათლების სფეროს ეფექტური ადმინისტრირების მიზნით;

გ) იმ ძირითადი სირთულეების / გამოწვევების ცოდნა, რომელსაც ხვდებიან საგანმანათლებლო დაწესებულებები მოსწავლეთა/სტუდენტთა და თანამშრომელთა განვითარების გზაზე ადგილობრივი/ეროვნული საზოგადოებისა და ე. წ. სთეიქჰოლდერების (დაინტერესებული/ჩართული მხარეების) ინტერესების დასაკმაყოფილებლად

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება უნარი, დარგის თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით, ორიგინალურად / ახლებურად გადაჭრას კომპლექსური პრობლემები, წვლილი შეიტანოს განათლების განვითარებაში:

ა) უნარი ადეკვატურად გამოიყენოს უახლესი თეორიული ცოდნა მუშაობისას, ლიტერატურის ღრმა გაგებით კითხვისას და კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას, ასევე უწყვეტი განათლების პროცესში, რათა წვლილი შეიტანოს პროფესიული პრაქტიკოსების საზოგადოების ჩამოყალიბებაში, იდეებისა და აქტივობების გაზიარების გზით.

ბ) უნარი წვლილი შეიტანოს განათლების მოდერნიზაციაში მისი ადმინისტრირების პრინციპების ცოდნაზე, ლიდერობის, კომუნიკაციური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით;

გ) უნარი გამოიყენოს შესაბამისი მეთოდები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი) მასალების შეგროვებისას, ინტერპრეტირებისას და წარდგენისას; განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი პროექტების, კვლევის დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების უნარი;

დასკვნის უნარი:

პროგრამის დასრულებისას სტუდენტი შეძლებს უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განათლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით რთული სიტუაციების გაანალიზებას და ინოვაციური დასკვნების გამოტანას.

კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის დასრულებისას სტუდენტი შეიძენს ეფექტური კომუნიკაციის უნარს პროფესიულ გარემოში:

- ვერბალური (ზეპირი და წერილობითი) უნარი
- არავერბალური კომუნიკაციისა და კომუნიკაციისას ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარები

სწავლის უნარი

პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება უნარი დამოუკიდებლად გააგრძელოს სწავლა და განახორციელოს კვლევა განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში:

- თვით- და ურთიერთშეფასების უნარი, დამოუკიდებელი სწავლის სტრატეგიული დაგეგმვის უნარი
- უნარი კვლევის მიზნით შეაგროვოს, გაანალიზოს და წარადგინოს მოპოვებული ინფორმაცია ეფექტურად და ეთიკურად, დაწეროს, გაიზიაროს, და წარადგინოს ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია ცხადად და აკადემიურ სტილში.

ღირებულებები:

- პროგრამის დასრულებისას სტუდენტს გამოუმუშავდება ადმინისტრირებასთან და განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი ღირებულებები:
- ა) ეთიკური პროფესიული ნორმებისადმი პატივისცემა, მათ შორის აკადემიური პატიოსნების წესების დაცვა; სხვა კულტურებისადმი პატივისცემა;

- ბ) განათლების ჰუმანისტური და დემოკრატიული (სტუდენტზე ორიენტირებული) სწავლების/ამინისტრირების პრინციპებისადმი პატივისცემა; მზაობა მათ დამკვიდრებაში წვლილი შეიტანოს;
- გ) ახალი და ინოვაციური ცოდნისკენ სწრაფვა, მისი პატივისცემა განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში, მზაობა მათ დამკვიდრებაში წვლილი შეიტანოს .

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამაზე გამოყენებულია სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- გონებრივი იერიში (Brainstorming)
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი
- შემთხვევების შესწავლა
- წერითი მუშაობის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება
- ელექტრონული საშუალებებით სწავლება

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
2) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
3) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;
4) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
5) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
2) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური და

დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.
სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.
ჩვეულებრივი მაგისტრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა 51 - 90-ს ფარგლებშია.
წარჩინებითი მაგისტრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა არანაკლებ 91-ს ტოლია.

დასაქმების სფერო

ადმინისტრაციული მუშაკი განათლების სფეროში - საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი. კურსდამთავრებულს შეუძლია იმ სამთავრობო თუ არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმება, რომლებიც მუშაობენ განათლების საკითხებზე. ასევე, არის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.